ცვლილება დამტკიცებულია

შპს უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური
საბჭოს სხდომაზე: ოქმი №02, 17.02.2025წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. შპს უნივერსიტეტი გეომედი (შემდგომში „უნივერსიტეტი") სასწავლო პროცესს წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, ამ წესის და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტების შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, დისტანციური სწავლების წესებს, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
3. აღნიშნული წესი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალისათვის, აგრეთვე აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის.
4. უნივერსიტეტში სწავლება ხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.
2. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება აბიტურიენტთა შესაბამისი რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. უნივერსიტეტი ვალდებულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს აბიტურიენტები და რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე გააფორმოს მათთან ხელშეკრულებები.
3. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტს ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

4. აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ვაჟების შემთხვევაში).

5. რეგისტრაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

6. აბიტურიენტი, რომელიც შესულია კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ არ მიმართავს უნივერსიტეტს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ გზით პირის ჩარიცხვა უნივერსიტეტში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

7. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს სემესტრისათვის დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52^1-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, სპეციალობის და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი გათავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისაგან.

9. მაგისტრანტობის კანდიდატი უნივერსიტეტის მიერ გასაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.

10. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტში, რექტორის აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში.

11. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შინაარს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარსა და გამოცდის/გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

12. უნივერსიტეტი მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს ანიჭებს კოეფიციენტებს, რომელთა ჯამი 100-ის ტოლია.

13. უნივერსიტეტი მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხდება მაგისტრატურაში ჩარიცხვა.
14. მაგისტრანტობის კანდიდატის საპრეტენზიო განცხადებები განიხილება უნივერსიტეტის მიერ შექმნილ საპრეტენზიო საბჭოზე. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.
15. მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
16. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.
17. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
18. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიან აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესის, მათ შორის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაზე წვდომის/დაშვების, ინფორმაციის ასახვის/შეტანის და ინფორმაციის დამუშავების წესების და პირობების შესაბამისად.
19. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება უნივერსიტეტის სტუდენტი – მაგისტრანტი.
20. უცხო ქვეყნის მოქალაქეების/მოქალაქეობის არმქონე პირების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
21. უნივერსიტეტი ვალდებულია დაადასტუროს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა B1 დონეზე.
22. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველმა განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

გ) მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი.
დ) ფოტო სურათი 3X4 (ელექტრონულად).
ე) მინდობილი პირის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.
ვ) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.
23. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველმა განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
ბ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და დიპლომის დანართი, ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.
გ) მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი.
დ) ფოტო სურათი 3X4 (ელექრონულად).
ე) მინდობილი პირის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.
ვ) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

მუხლი 3. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.

1. სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში.
2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სემესტრის დაწყებამდე, დადგენილი წესების დაცვით, სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას უნივერსიტეტში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განცხადებით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომ გამონაკლისის სახით მიეცეს უფლება დაშვებულ იქნას აკადემიურ რეგისტრაციაზე და ეტაპობრივად, არა უგვიანეს დასკვნით გამოცდამდე, გადაიხადოს სემესტრის სწავლის საფასური.
4. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სემესტრის დაწყებამდე, სტუდენტის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე/მოდულებზე დარეგისტრირებას, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადების შესაბამისად. სასწავლო კურსებზე/მოდულებზე რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მათი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეცვლა, გაუქმება ან დამატება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
5. აკადემიური რეგისტრაციის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
ბ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
გ) ორსულობა, მშობიაობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
დ) ფინანსური დავალიანება.
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
4. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
ბ) პირადი განცხადება;
გ) ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება;
ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის აღსრულებაში ყოფნა;
ვ) ეთიკის კოდექსის დარღვევა (სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევა);
ზ) გარდაცვალება;
თ) სტუდენტის სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა;
ი) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.
იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით, სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. მობილობა.

1. უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის" შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში.

2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

3. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.

4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების მხოლოდ ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანთლებლო პროგრამაზე.

5. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

6. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე.

7. მობილობის პროცესში მონაწილეობის უფლება აქვთ, როგორც აკადემიური დავალიანების, ასევე წულოვანი კრედიტის მქონე სტუდენტებს, თუ ისინი ჩართული არიან სასწავლო პროცესში.

8. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველი პირი, უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად. დადებითი პასუხის შემთხვევაში, უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან ერთვის საგანმანათლებლო დოკუმენტის, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის დამოწმებული ასლები.

9. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. სტუდენტისათვის შეთავაზებული პირობები (კერძოდ, გადმოსვლის შემთხვევაში რომელ სემესტრში განაგრძობს სწავლას და რამდენი კრედიტით) წინასწარ ეცნობება სტუდენტს.

10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებისათვის დაადგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა, გასაუბრება ან/და გამოცდა.

11. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ. დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

12. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მიმღებ უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

13. მობილობის ფარგლებში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის ასლების მოთხოვნით.

მუხლი 7. შიდა მობილობა.

1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა.

2. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის გათვალისწინებით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს უნივერსიტეტის სტუდენტს, მათ შორის სტატუს შეჩერებულს. დამატებითი სემესტრის სტუდენტს არ აქვს შიდა მობილობაში მონაწილეობის მიღების უფლება.

4. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათ-ლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლის პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

5. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" მე-6 მუხლის მე-2

პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე.

6. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების მხოლოდ ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად.

7. შიდა მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია სტუდენტის განცხადება, რომლის საფუძველზეც დადგინდება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი აღიარებისათვის და მზადდება შესაბამისი დასკვნა.

8. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი თანახმაა სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით, შიდა მობილობის ფაქტი ფორმდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრა.

1. ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

2. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

3. მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში ან აკადემიური ჩამორჩენის გამო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მიზნით სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს სასწავლო კურსი, რომელიც არ მიმდინარეობს მოცემულ სემესტრში:

ა) ასეთ შემთხვევაში სტუდენტი მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტის რექტორს აღნიშნული სასწავლო კურსის დანიშვნის შესახებ სემესტრის დამთავრებიდან 1 კვირის ვადაში;

ბ) განცხადებები გადაეცემა შესაბამის დეკანატს რეგირებისთვის;

გ) სტუდენტს დაენიშნება დამატებითი სასწავლო კურსი, თუ ამ კურსზე მსურველთა რაოდენობა არანაკლებია 5 სტუდენტისა. 5-ზე ნაკლები სტუდენტის შემთხვევაში დამატებითი სასწავლო კურსის დანიშვნის/არ დანიშვნის საკითხს წყვეტს კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი.

დ) სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი სასწავლო კურსის საფასური კრედიტების მიხედვით, სასწავლო კურსის დაწყებამდე.
4. სტუდენტს აქვს უფლება დამატებითი სასწავლო კურსები აიღოს სემესტრის მიმდინარეობისას, რაც არ უნდა აღემატებოდეს სემესტრში 8 ან 7 კრედიტს (ჯამურად წლიური დამატებითი კრედიტების რაოდენობა 15).
5. სტუდენტს აქვს უფლება არდადეგების პერიოდში, სასწავლო წლის ბოლოს, აიღოს დამატებითი სასწავლო კურსები, რომელთა კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12 კრედიტს, რომლისთვისაც განისაზღვრება 6-კვირიანი ვადა. მე-7 კვირას ჩატარდეს დასკვნითი გამოცდა და არანაკლებ 5 დღის შემდეგ დამატებითი გამოცდა.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის აღდგენა.

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია პირადი განცხადების საფუძველზე. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება იმ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც გამოიწვია სტუდენტის სტატუსის შეჩერება.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სემესტრი განისაზღვრება მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით, არსებული აკადემიური დავალიანებისა და სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით.

მუხლი 10. დისტანციური სწავლება.

1. დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.
2. დისტანციური სწავლება სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
3. დისტანციური სწავლების საკომუნიკაციო ფორმები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს.
4. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული, ასინქრონული ან შერეული/ჰიბრიდული კომუნიკაციის ფორმით.

- სინქრონული კომუნიკაცია წარმოადგენს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ერთობლივ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, არა სასწავლო დაწესებულებაში დისტანციურად.
- ასინქრონული კომუნიკაცია - წარმოადგენს იმგვარ კომუნიკაციის ფორმას, სადაც სტუდენტებს არ ევალებათ სასწავლო პროცესში მონაწილეობა ლექტორთან ერთად. ეს შეიძლება იყოს ბეჭდვით მასალაზე დაფუძნებული კურსები ან ონლაინ კურსები ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის გამოყენებით.

• დისტანციური სწავლება შესაძლებელია შერეული/ჰიბრიდული მოდელის მეშვეობითაც. ეს არის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც ინტერნეტით სწავლების, ასევე სააუდიტორიო სწავლების კომბინაციის გამოყენებას.

5. დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას Emis და პლატფორმებს (ელექტრონულ საშუალებებს): Google Meet, Google Classroom. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შერჩეული პლატფორმების გამოყენების ინსტრუქციები/ვიდეოგზამკვლევები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის კონსულტაციებს პლატფორმების გამოყენების თაობაზე. სასწავლო და შეფასების პროცესში გამოსაყენებელ მასალას აკადემიური/მოწვეული პერსონალი ტვირთავს Google Classroom ელექტრონული პლატფორმის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის Emis საშუალებით.

6. დისტანციური სწავლება ხორციელდება უნივერსიტეტში დამტკიცებული დისტანციური სწავლების წესის შესაბამისად.

მუხლი 11. სწავლის საფასური.

1. სწავლის საფასური განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ყოველწლიურად ახალი მიღებისათვის, რექტორის ბრძანების საფუძველზე და აისახება ხელშეკრულებაში.
2. სწავლის საფასური სტუდენტმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებისა და სწავლის საფასურს შორის სხვაობა უნდა დაიარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.
4. სტატუს შეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება სწავლის გაგრძელების მომენტისათვის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის შესაბამისად.

მუხლი 12. დამატებითი სემესტრის გავლა.

1. ბაკალავრიატის სტუდენტს, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში კრედიტების დადგენილი რაოდენობის ვერ ათვისების შემთხვევაში, უფლება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მომდევნო, არაუმეტეს ოთხი დამატებითი სემესტრის განმავლობაში;
2. მაგისტრატურის, სტომატოლოგიისა და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში კრედიტების დადგენილი რაოდენობის ვერ ათვისების შემთხვევაში, უფლება ეძლევათ გააგრძელოს სწავლა მომდევნო, არაუმეტეს ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში;
3. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური სტუდენტს განესაზღვრება ასათვისებელი კრედიტების შესაბამისად;
4. ერთი კრედიტის საფასურია: სწავლის საფასური გაყოფილი 60 კრედიტზე.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/მოდიფიკაციის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;
2. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციის ან გაუქმების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია:
ა) შესთავაზოს სტუდენტებს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც თავსებადი (რელევანტური) იქნება და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;
ბ) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
გ) უზრუნველყოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თავსებადი (რელევანტური) საგანმანათლებლო პროგრამების მოძიება და სტუდენტების ინფორმირება.
დ) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

მუხლი 14. სტუდენტის შეფასების სისტემა.

1. სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით" განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

- **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
  (A) ფრიადი – 91 –100 ქულა;
  (B) ძალიან კარგი – 81–90 ქულა;
  (C) კარგი – 71–80 ქულა;
  (D) დამაკმაყოფილებელი – 61–70 ქულა;
  (E) საკმარისი – 51–60 ქულა.
- **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
  (FX) ვერ ჩააბარა – 41–50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
  (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური შეფასებები და დასკვნითი შეფასება), ასევე, არსებობის შემთხვევაში თითოეულ შეფასების მეთოდში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ამ მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთვევაში. სტუდენტის

საბოლოო შეფასება განისაზღვრება მრავალი კომპონენტით, რომელთაგანაც ერთი დასკვნითი შეფასებაა, რომლის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას. შეფასების კომპონენტების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო კურსის სპეციფიკას. კომპონენტების ხვედრითი წილი ვარირებს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების ხვედრითი წილის საბოლოო განსაზღვრა წარმოადგენს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის პასუხისმგებლობას ფაკულტეტთან შეთანხმებით.

3. შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური შეფასებები და დასკვნითი შეფასება) განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად).

5. თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ქულათა ჯამი შეადგენს 41- 50 ქულას, სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. იმ შემთხვევაში თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებ ქულას, სტუდენტს სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

6. სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

7. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

8. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ვადებში საპატიო მიზეზით არგამოცხადების შემთხვევაში, გამოცდაზე დაშვების უფლებას განსაზღვრავს დეკანი პირადი განცხადების და შესაბამისი ცნობის საფუძველზე.

9. შესაძლებელია სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრება: სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით შესაბამის დეკანატს. დეკანი ვალდებულია 3 სამუშაო დღეში განიხილოს პრობლემა სასწავლო კურსის განმახორციელებელთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. მიღებული გადაწყვეტილება შეფასების შეცვლა/შენარჩუნების თაობაზე ფორმდება შესაბამისი ოქმით და ეცნობება სტუდენტს იმავე დღეს.

10. სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA-ს მაჩვენებელი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს. კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.8 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

სემესტრული GPA–ს 3.8 მქონე სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია.

სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელის (GPA) გამოთვლის წესი:

1. შეფასებების მიხედვით, GPA შეადგენს:

შეფასება	GPA

51-60 (E)	0.5
61-70 (D)	1
71-80 (C)	2
81-90 (B)	3
91-100 (A)	4

2. თითოეულ საგანში მიღებული GPA მრავლდება საგნის კრედიტების რაოდენობაზე. აღნიშნული ხორციელდება თითოეული საგნისათვის ცალცალკე.
3. მიღებული შედეგი ჯამდება და იყოფა კრედიტების საერთო (ჯამურ) რაოდენობაზე. შედეგად მიიღება სემესტრული GPA.
4. სტუდენტის საბოლოო GPA მიიღება სემესტრული GPA-ების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

მაგ.

საგანი	**კრედიტი**	**მიღებული ქულა**	**მიღებული ქულის შესაბამისი GPA**	**GPA*კრედიტზე**
შინაგანი დაავადებები 2	15	92	4	4*15 = 60
ურგენტული ქირურგია	6	87	3	3*6 = 12
ნეფროლოგია, უროლოგია	5	80	2	2*5 = 10
სისტემური დაავადებები, რევმატოლოგია	4	93	4	4*4 = 16
ჯამი:	30			98 (თითოეული საგნის GPA-ების და თითოეული საგნის კრედიტის ნამრავლის ჯამი
საბოლოო GPA	98/30 = 3,26 - (თითოეული საგნის GPA-ების და თითოეული საგნის კრედიტის ნამრავლის ჯამი იყოფა კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე			

ვერ ჩაბარებული საგანი GPA - ის გამოთვლაში არ მონაწილეობს.

მუხლი 15. კლინიკური კურაციის ჩატარების და მონიტორინგის მექანიზმები

კლინიკური კურაცია ტარდება მხოლოდ უნივერსიტეტის კონტრაქტორ და აფილირებულ კლინიკებში/ჰოსპიტლებში. კლინიკური კურაციის ჩატარებისთვის დაცული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:

1) სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო დატვირთვა კლინიკაში განისაზღვრება სილაბუსის შესაბამისად;

2) პრაქტიკული მეცადინეობები გულისხმობს უშუალო კონტაქტს/მუშაობას პაციენტთან, პასუხისმგებელი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ; ეს მოიცავს ანამნეზის შეკრებას, სამედიცინო გამოკვლევის სქემის შედგენას, სამედიცინო ანალიზების ჩატარებისა და მათი პასუხების შეკრებაზე მეთვალყურეობას, დიაგნოზის დასმაში, დიფ. დიაგნოზის გატარებაში, მკურნალობის სქემის შედგენაში მონაწილეობას, პაციენტთან/მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას და მკურნალობის სქემის მათთან შეთანხმებას, კლინიკაში კოლეგებთან თანამშრომლობას. ამგვარად, სტუდენტი ყოველი კლინიკური კურაციის განმავლობაში იძენს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებს იმისათვის, რომ მან მომავალში შეძლოს სამედიცინო გარემოში დამოუკიდებელი მუშაობა, ასევე შეიძინოს კრიტიკული აზროვნების და სტრესულ გარემოში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

3) კლინიკური კურაციის ჩატარების და სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და უზრუნველყოფა, ასევე არსებული პრობლემების გამოვლენა და დაუყოვნებელი მოგვარება უწყვეტად ხორციელდება დეკანატის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. ამ პროცესში უშუალოდ ჩართულია ჯგუფხელების რგოლი, რომლებიც მუდმივად გადასცემენ ინფორმაციას დეკანატს.

4) კლინიკური კურაციის ჩატარების შეფასება რეგულარულად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემაში ჩაშენებული კითხვარების საშუალებით (კითხვარი №13. სტუდენტების მიერ კლინიკური როტაციების (კურაციის) შეფასება).

მუხლი 16. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურისთვის პროგრამით დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი (დიპლომირებული სტომატოლოგი/დიპლომირებული მედიკოსი/ბაკალავრი/მაგისტრი) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი ფორმის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, შესაბამისი დანართით.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები.

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე და ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანების თანახმად.